ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

№ 174 (11480)
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ
29
ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
1959 წ.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ Ი ᲢᲚ ᲙᲞ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲐ Ი ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲕ ᲢᲠᲣᲓᲘᲡ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

მათ აღაფრთოვანებთ ვ. გაგანოვას მაგალითი (1-ლი გვერდი).

შ. ჭოჭუა, ხეთაგური. — კასპში გაჩაღებულია ალორობა (1-ლი გვერდი).

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ — ᲐᲘ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲒᲐᲠᲘ! (მე-2 გვერდი).

მზრუნველობით შევარჩიოთ, გავანაწილოთ და აღვზარდოთ კადრები — საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე (მე-3 გვერდი).

ᲣᲣᲠᲘ ᲕᲣᲒᲓᲝᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲮᲛᲐᲡ! — **მ. არაშიძე.** — ერთი რაისაბჭოს ორი გადაწყვეტილების შესახებ, **ი. კვერელიძე.** — სადამდე გასტანს ეს მიმოწერა?! (მე-3 გვერდი).

წიგნების სამყაროში (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

თუ ვალდებულება იკისრე, შეასრულე კიდეც!

„სოციალისტური ვალდებულებანი გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებს და უნდა ემყარებოდნენ თვითეული კოლექტივის, ჩვენი საზოგადოების თვითეული მშრომელის ძალების, უნარისა და შესაძლებლობის ზუსტ აღრიცხვას. თუ იკისრებ ვალდებულებას, აუცილებლად უნდა უზრუნველყო მისი შესრულება, უნარიანად უნდა დარაზმო ადამიანები, გამოიჩინო მაქსიმუმი ენერგია და სიმტკიცე, რომ კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში იყო, და არა კუდში მიჰანჰალებდე. სოციალისტური ვალდებულებანი ფულადივით მტკიცე უნდა იყოს“.

(ამხანაგ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ სიტყვიდან მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1959 წლის 24 თებერვალს.).

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა შვიდწლიანი გეგმა მიიღეს როგორც შემოქმედებითი შრომის ახალი ტრიუმფი, კომუნიზმის მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უშრეტი წყარო. შვიდწლიან გეგმაში მშრომელები ხედავენ კონკრეტულ სინამდვილეს, რეალობას, ხვალინდელი დღის ნათელ მომავალს. ამიტომ ახლა, ვიდრე ოდესმე, თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიღება ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულებზე, გადაჭრით უნდა ამაღლოს თვითეული ჰექტარი მიწის რენტაბელობა, მისი ნაყოფიერება. ამასთანავე საჭიროა მეურნეობა აწარმოონ ყაირათიანად, გონივრულად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რეზერვები და უმკაცრესად დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი. სწორედ ამ საფუძველზე იქნება უზრუნველყოფილი სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, ხალხის მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ახლა საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლედის პირველი წლის გეგმების, ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის. სოფლად დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ცხობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწვევის შესახებ მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში. **ეს პლენუმი განიხილავს სოფლის მეურნეობის განვითარების გადაუდებელ ამოცანებს, იმას, თუ როგორ სრულდება მშობლიური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობაში.**

ეს ავალებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ამთავითვე ანალიზი გაუკეთონ იმას, თუ რა გააკეთეს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რა საბრძოლო ამოცანებია წინ. უწინარეს ყოვლისა, თავარია რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გულდასმით გადახედონ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, გაარკვიონ, რა შეასრულეს და რა არ შეუსრულებიათ, და აქედან გააკეთონ საჭირო დასკვნები. **ვალდებულება თუ იკისრე, კიდევაც უნდა შეასრულო იგი!**

ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა თავი გამოიჩინეს ორგანიზატორული მუშაობით და კიდევაც უზრუნველყოფენ გეგმების, ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ წითელწყაროს რაიონი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები, წითელწყაროელებს ვალდებულება ჰქონდათ ნაკისრი პურეულის მოსავალი უდანაკარგოდ აეღოთ ათ სამუშაო დღეში. ეს ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს. ათ დღეში პურეულის აღების ინიციატორებმა — წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა კი ვალდებულება რვა ხახვარ დღეში შეასრულეს. ეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნაძღვილი გამოვლინებაა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის საქმეში ნაკისრ ვალდებულებებს კარგად ასრულებენ ახალციხის, ლაგოდეხის, მახარაძის და მთელი რიგი სხვა რაიონები. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის ქობულეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების მეჩაიეები.

როცა ზოგიერთმა რაიონმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრა, საზეიმო პირობა დადო პარტიისა და მთავრობის, ხალხის წინაშე. მაგრამ იმის გამო, რომ საქმე არ განამტკიცეს ორგანიზატორული მუშაობით, არათუ ვალდებულება, არამედ ზოგიერთ დარგში გეგმებიც ვერ შეასრულეს. რით გაიმართლებენ თავს წალკელი, გალელი, ოჩამჩირელი მეცხოველეები, როცა მათ არა თუ ნაკისრი ვალდებულებანი არ გაუნაღდებიათ, არამედ 1 ივლისის მდგომარეობით შარშანდელთან შედარებით შეამცირეს წველადობა და ასობით ტონა რძე დააკლეს სახელმწიფოს. მეცხოველეობის დარგში ისეთმა წამყვანმა რაიონმა, როგორიც ახალქალაქის რაიონია, სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება მხოლოდ 73 პროცენტით შეასრულა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ რაიონების პარტიის რაიკომები და რაისაბჭოს აღმასკომები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების საქმეს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი ფორმალური დამოკიდებულების მაგალითს იძლევა გუდაუთის რაიონი. საკმარისია ითქვას, რომ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის დავალებას არათუ ვერ ასრულებენ, არამედ შარშანდელთან შედარებით 58 სულით შეამცირეს. ვალდებულებით წლის განმავლობაში რაიონში უნდა გაასუქონ 600 სული ღორი. ეს ვალდებულება ექვს თვეში შესრულებულია 11,7 პროცენტით. საინტერესოა, როგორ ითმენენ ასეთ მდგომარეობას პარტიის გუდაუთის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი?

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან ყურადღება გაამახვილონ ერთსა და იმავე პირობებში, ხშირად ერთმანეთის გვერდით მყოფ მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებზე, საქმის ცოდნით ჩასწვდნენ, თუ რატომ ხდება ასე, რა უშლის ხელს იმას, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე. მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ კვლავაც განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობა გამოცდილი, უნარიანი კადრებით, ორგანიზატორებით. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ მაგალითს. აი რა არის. უწინარეს ყოვლისა, წარმატების საწინდარი.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მუშაობა შეფასდება იმის მიხედვითაც, თუ როგორ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, რა ახალი წარმატებებით შეხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

დაე ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობით განმტკიცდეს მოპოვებული წარმატებები, იმრავლოს შვიდწლედის პირველი წლის ხვავმა და ბარაქამ.

მათ აღაფრთოვანებთ ვ. გაგანოვას მაგალითი

★ ★ ★ ★

ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). ის დღე დაუვიწყარი დაარჩება გორელი ფეიქრებისათვის. იმ ადამიანებს, რომლებსაც ხვდებოდა კოლექტივი, ბევრი ფეიქარი ადრეც იცნობდა ერთად მუშაობით, ზოგს ახლო მეგობრობა ჰქონდა მათთან. შეხვედრას ყველა გულით მოელოდა.

ბამბეულის კომბინატის კლუბი სავსეა ხალხით. სცენაზე მრგვალ მაგიდასთან სხედან მოწინავე მრთველები ელენე გეგელაშვილი და დუშა ხაჩიძე. ამ უბრალო რიგითმა ადამიანებმა კოლექტივის ეს დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით მოიპოვეს.

საქვეყნოდ ცნობილი ფეიქრის ვალენტინა გაგანოვას მიმდევრების — ელენე გეგელაშვილისა და დუშა ხაჩიძისადმი მიძღვნილი შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კურდღელაშვილმა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ე. გეგელაშვილი და დ. ხაჩიძე. მათი სიტყვები ყვითლშობილურ საქციელზე, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების მნიშვნელობაზე ღრმად სწვდებოდა დარბაზში მყოფთა გულს. გეგელაშვილმა და ხაჩიძემ შეხვედრის მონაწილეებს უამბეს, თუ რა მუშაობას ეწევიან ჩამორჩენილი ბრიგადების დასაწინაურებლად.

სამუშაოდ — ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲨᲘ

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). აქ გამოჩნდნენ ვიშნი ვოლოჩეკის მრთველის ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული თაოსნობის მომბაძველები. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი მოწინავე ადამიანი მხურვალედ უჭერს მხარს ვ. გაგანოვას მაგალითს.

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მეღორეობა-მეცხვარეობის კარგი ფერმა აქვს. ყოველწლიურად სრულდება გოჭებისა და ბატკნების მიღება-გაზრდის დავალებები. უკანასკნელ ორ წელიწადში ხორცის წარმოებაში საგრძნობლად გაიზარდა ღორის ხორცის ხვედრითი წონა. მიმდინარე წლის ექვს თვეში ყოველ ას ჰექტარ სახნავზე უკვე წარმოებულია 10,1 ცენტნერი ღორის ხორცი. ამ ფერმას ხელმძღვანელობდა გერმანე ვახტანგიშვილი. მან სთხოვა კოლმეურნეობის გამგეობას გადაიყვანოს ჩამორჩენილ უბანზე. ასეთ უბნად ითვლება მეძროხეობის ფერმა. 1 ივლისისათვის თვითეულ ძროხაზე მოწველილი იყო 799 ლიტრი რძე, ანუ 96 ლიტრით ნაკლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. კოლმეურნეობის გამგეობამ გ. ვახტანგიშვილის თხოვნა დააკმაყოფილა. იგი გადაიყვანა მეძროხეობის ფერმის გამგედ.

ჩამორჩენილ ბრიგადაში თავისი ინიციატივით გადავიდა სოფელ დვანის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელ სულიკო მამაგულაშვილი.

ვ. გაგანოვას პატრიოტულ თაოსნობას გაცხოველებით ეხმაურებიან აგრეთვე რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი. პარტიის ქარელის რაიკომს განცხადებებით მიმართეს და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნის სურვილი გამოთქვეს სოფელ დვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. რაზმაძემ, სოფელ აბანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ოსაძემ, პარტიის ქარელის რაიკომის მდივანმა ვ. გოჩაშვილმა, რუისის მეჭარხლეობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა რ. მაღულარიამ, რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის დირექტორმა შ. დაბრუნდაშვილმა და სხვებმა.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲣᲓᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ვალენტინა გაგანოვას ძვირფას თაოსნობას მხურვალედ დაუჭირა მხარი აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა ბევრმა მშრომელმა.

— გულდასმით გავეცანი ვალენტინა გაგანოვას თაოსნობას, — ამბობს სოხუმის ოჯრონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა რაისა მედვედევა, — და გადავწყვიტე მივბაძო მას. თუ ჩვენ შევძლებთ ჩამორჩენილების წამოწევას მოწინავეთა დონემდე, მაშინ საწარმოო ფართობების გაუდიდებლად და დანადგარების დაუმატებლად რამდენიმე ათეული ათასი წყვილით მეტ ბავშვის სანდალეტს შეკერავთ.

კომბინატში არ არიან მუშები, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდნენ, მაგრამ მოწინავეებს მაინც ვერ უდგანან მხარში. სწორედ ერთი ასეთი „ჩამორჩენილის“ დაწინაურება იკისრა რ. მედვედევამ. მან ივნისის დავალება 200 პროცენტით შეასრულა, მისმა ამხანაგმა ქ. ოჩიგავამ კი — 130 პროცენტით. ახლა რ. მედვედევა გულდასმით აცნობს ამხანაგს თავისი მუშაობის მეთოდებს, მოწინავე გამოცდილებას.

ვალენტინა გაგანოვას მიმბაძველნი კომბინატის სხვა საამქროებშიც არიან. გამომჭრელ საამქროში მუშაობის მაღალი მაჩვენებლებით სახელი გაითქვა ვერა კაკაჩიამ. ის ერთ-ერთი პირველი შეუდგა ოთხფენოვანი ტყავის გამოჭრას, რამაც საშუალება მისცა ერთიორად გაედიდებინა შრომის ნაყოფიერება.

Ი. ᲒᲝᲒᲝᲔᲩᲘᲐ.

ᲙᲐᲡᲞᲨᲘ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲦᲝᲒᲑᲐ

ᲝᲭᲠᲝᲡᲤᲠᲐᲓ ლივლივებს ქართლის ველი. უწინდელი მყუდროება მინდვრის ხომალდებს დაურღვევია. მოსავლის აღების ცხარე დღეებია. ღამეა, მაგრამ არ სძინავთ მექანიზატორებს, პროჟექტორებივით ანათებს კომბაინების ბრიალა ფარები.

წელს კასპელი მხვნელ-მთესველები უხვად იმკიან პურს, ცალკეულ ნაკვეთებზე საშუალოდ ჰექტარზე პურეულის მოსავალი 23-24 ცენტნერს აღწევს.

— რამდენიმე დღის წინათ, როცა კასპში მკა ჯერ მასობრივად არ იყო გაჩაღებული, ასეთ მჩქეფარე, ხალისიან შრომას ვერ შევამჩნევდით — განაცხადა პარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა — სულ სხვა სურათია ახლა. კოლმეურნე მექანიზატორებმა იკისრეს 12-15 სამუშაო დღეში მთლიანად დაამთავრონ 8.400 ჰექტარზე მოსავლის აღება-დაბინავება.

კარგად მოუწყვიათ პურეულის მკა სოფელ დოესის კოლმეურნეობაში. აქ კომბაინერთა აგრეგატების კოლექტივები განუხრელად ახორციელებენ საათობრივ გრაფიკს, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად კომბაინერების თაოსნობით შეტანილ იქნა მთელი რიგი გაუმჯობესებანი.

ყოველ საღამოს, დამხმარე კოლმეურნეებთან ერთად, მექანიზატორები ითვალისწინებენ ნაკლოვანებებს და მეორე დღესვე ასწორებენ. თავის მხრივ ვალში არ რჩებიან კოლმეურნეებიც, რომლებმაც კარგად მოაწყეს აგრეგატების მომსახურება.



დაბა ბოლნისის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სასახელოდ მუშაობს კომბაინერი ო. ფრუიძე. იგი დღეში 18-20 ჰექტარზე იღებს პურეულს და საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერ მარცვლეულს ლეწავს. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: კომბაინერი ო. ფრუიძე.



ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲙᲐᲡᲞᲘ. **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲐᲮᲔᲚᲐᲫᲔ** სოფელ ქვემო ჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აიღო 15 ჰექტარი პურეული და საშუალოდ ჰექტარზე 14 ცენტნერი ხორბალი გალეწა. **ᲨᲐᲚᲐᲕᲐ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲐᲫᲔ** სოფელ დოესის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით შომკა 16 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე 24 ცენტნერი მარცვალი გალეწა, **ᲤᲔᲓᲠᲝ ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ** სოფელ სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 17 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 15 ცენტნერი მარცვალი.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘ. **ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲪᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐ** სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 12 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 14 ცენტნერი მარცვალი. **ᲐᲜᲓᲠᲝ ᲮᲐᲠᲐᲙᲝᲕᲩᲘᲛ** — 13 ჰექტარი, **ᲮᲝᲚᲝᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲧᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ** — 12.5 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲠᲐᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ** სოფელ ლისის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 13 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 13 ცენტნერი ხორბალი.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲒᲛᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 176 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 18.392 ტონა ჩაი, ანუ შარშანდელზე 500 ტონით მეტი.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. რაიონში მოკრიფეს 100 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 11.694 ტონაზე მეტი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ზუგდიდელმა მეჩაიეებმა 81 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 12.138 ტონა, ანუ შარშანდელზე 1,276 ტონით მეტი.

ᲒᲐᲚᲘ. რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 57 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან 8.536 ტონა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით შექმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. ჰენრიხ იოსების ძე **ᲖᲔᲚᲔᲜᲙᲝ.**

რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

27 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი ლენინგრადს ჩამოვიდა, სადაც დოქტორ მილტონ ეიზენჰაუერთან და სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ლ. ე. ტომპსონთან ერთად ვიზიტი გაუკეთა ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ნ. ი. სმირნოვს.

შემდეგ ნიქსონმა თავისი თანამგზავრებით ინახულა ლითონის ქარხანა.

* * *

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 27 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ლენინგრადის ლითონის ქარხანას. საამქროების დათვალიერების დროს მათი ყურადღება მიიპყრო 126 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინის დეტალებმა სტალინგრადის ჰესისათვის და მსოფლიოში ერთადერთმა სარანდავ-საღარავმა ჩარხმა ელექტრონული მართვით.

— შესანიშნავი მანქანაა, — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა მას შემდეგ, როცა გააცნეს ამ ჩარხის მუშაობის პრინციპები.

ქარხნის დათვალიერების მსვლელობაში რ. ნიქსონი არაერთგზის ჩაება საუბარში მუშებთან, ინჟინრებთან და მოსამსახურეებთან, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრულად ყველა ქვეყნის ხალხებთან და სთხოვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს სალამი გადასცეს ამერიკელ ხალხს.

შემდეგ რ. ნიქსონმა ინახულა საადმირალოს ქარხანა, დაათვალიერა არქტიკული ფლოტის ფლაგმანი — ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“.

დღის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი და მისი თანამგზავრები კატერებით გაემგზავრნენ პეტროდვორეცში. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

1959 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

		გეგმის შესრულება პროცენტობით	
		წლიური გეგმისა	იანვრის გეგმისა
ქობულეთის	რაიონი	67,4	72,9
ბათუმის	„	67,2	77,4
ქედის	„	63,0	72,0
ᲡᲣᲚ ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ		67,4	74,0
გალის	რაიონი	77,3	86,5
ოჩამჩირის	„	71,1	75,5
სოხუმის	„	78,9	72,9
გუდაუთის	„	78,3	67,4
ᲡᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ		75,4	80,0
მახარაძის	რაიონი	68,3	61,5
ჩოხატაურის	„	74,8	65,0
ლანჩხუთის	„	67,2	60,2
სამტრედიის	„	64,9	51,1
წულუკიძის	„	60,7	44,0
წყალტუბოს	„	78,3	69,5
ტყიბულის	„	92,1	129,8
ცხაკაიას	„	76,4	78,4
აბაშის	„	69,4	53,6
გეგეჭკორის	„	71,4	77,5
ზუგდიდის	„	71,6	85,5
ჩხოროწყუს	„	72,7	78,9
წალენჯიხის	„	74,2	97,1
ხობის	„	75,7	77,5
თერჯოლის	„	75,0	87,0
ზესტაფონის	„	100,0	42,9
ვანის	„	65,0	50,0
ქალ. ჭიათურა		138,7	160,0
ქალ. ფოთი		33,3	—
ᲡᲣᲚ ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ-ᲨᲘ		71,2	74,7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები — სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

ტექნიკური პროგრესი, ეკონომია — აი რა არის მთავარი!

რას მოგვცემს სოფლად მშენებლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება? — დაზოგავთ 1 მილიონ კუბმეტრ ხე-ტყის მასალას.

სულ უფრო მდიდრდება შმიდწლედის ფონდი

გათუმელმა მანქანათმშენებლებმა ეძვს თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასიათასობით მანეთის პროდუქცია.

სწავლობენ, ახორციელებენ

აგიტატორები და პროპაგანდისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ცვლამ ის იყო მუშაობა დაამთავრა. ორთქლმავლების ამწყობი საამქროს მუშების ერთი ჯგუფი ნოვატორ მექვაბესთან — ი. მაჩაიძესთან შეიკრება. ისინი დიდი ხანია მიჩვეული არიან ი. მაჩაიძის დამაჯერებელი, საინტერესო საუბრების მოსმენას. გამოქვეყნდება თუ არა ჩვენს პრესაში პარტიისა და მთავრობის დადგენილება, აგიტატორს ვინ დაასწრებს ამ დადგენილების შინაარსის მუშებისათვის გაცნობას. შრომის ნოვატორულ მეთოდებზე, ახალ პატრიოტულ თაოსნობაზეც მას მიაქვს პირველი სიტყვა ცვლის კოლექტივთან. ხან კიდევ აგიტატორი საზოგადოებრივ აზრს ამხედრებს ზარმაცებისა და წუნისმკეთებლების წინააღმდეგ.

ასე იყო იმ დღესაც. მართალია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებს პრესის და რადიოს საშუალებით მუშები ჯერ კიდევ პლენუმის მუშაობის დღეებში გაეცნენ, მაგრამ სულ სხვაა აგიტატორის გულდასმით მოფიქრებული და ღრმად გააზრებული საუბრის მოსმენა. მან მუშებს დაწვრილებით გააცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი. ამასთან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების აუცილებლობას. აგიტატორმა ქარხნის მაგალითზე ცხადყო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დიდი მნიშვნელობა.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ზრუნავს აგიტატორთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისათვის. ამას წინათ მოეწყო აგიტატორთა სემინარი თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და აგიტატორთა ამოცანები“. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორის თ. ნანობაშვილის მოხსენება.

პლენუმის მასალების შემსწავლელთ სერიოზულ დახმარებას უწევს ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტი. აქ უხვად ნახავთ როგორც ტექნიკური, ისე პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურას, საყურადღებო სტატიებს, დიაგრამებს. სპეციალურ გამოფენაზე წარმოდგენილია ქარხნის ტექნიკური პროგრესის პერსპექტივები შვიდწლედში.

— წლიური გეგმა 12 დეკემბრისათვის შეგასრულოთ, გასულ წელთან შედარებით ერთ მილიონ 150 ათასი მანეთით შეგამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, 5 პროცენტით გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, ორთქლმავლების და ვაგონების შეკეთების დრო შეგამციროთ 3 დღით — ასეთი ვალდებულებები იკისრა ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის „კოლექტივმა ივნისის პლენუმის აღსანიშნავად. ახლა მთელი პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ წარმატებით შესრულდეს ეს ვალდებულებები.

შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეაქვთ დედაქალაქის ლენინის რაიონის მშრომელებს. ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანასა და სხვა საწარმოებში დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. წარმოებაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებით, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით ახალ წარმატებებს აღწევენ, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს.

პარტიის ლენინის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების ახსნა-განმარტებას. რაიკომის ლექტორთა ძალებით სისტემატურად ეწყობა ლექციები შრომის მოწინავე მეთოდებზე. ეწყობა მოხსენებები და საუბრები.

მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ ივნისის პლენუმის მასალებისადმი. რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში, მასობრივ ბიბლიოთეკებში მოწყობილია ივნისის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენები. რაიკომის ლექტორთა ჯგუფის წევრები მშრომელთა წინაშე გამოდიან მოხსენებებით: „პარტიული ორგანიზაციის მუშაობა შრომის მოწინავე მეთოდების, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების და სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების გავრცელებისათვის, „სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საწინდარია“ და სხვ.

დაუშრეტელია მშრომელთა სურვილი ღრმად შეისწავლონ და პრაქტიკულად განახორციელონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. რაიონის საწარმოებს შორის, აგრეთვე საწარმოთა შიგნით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. გამონახულია ახალი საწარმოო რეზერვები, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. მთლიანად რაიონმა საერთო პროდუქციის გამოშვების 6 თვის გეგმა 106,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება — 106,2 პროცენტით.

მ. ვარდოსანიძე.

4.500 წყვილი ფეხსაცმელი

რით? — დაზოგილი ნედლეულით!

ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები მხურვალედ უჭერენ მხარს თბილისელი ჩარხმშენებლების ინიციატივას, აჩქარებენ ბრძოლას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებას, ახალი ტექნიკის დანერგვას და მოწყობილობის მოდერნიზაციას. ამ მხრივ მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, აბრეშუმკომბინატის, ლიტოპონის ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივები.

რეკონსტრუქციისა და შენობის ნაწილობრივი გაფართოების გზით ამას წინათ ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში ამუშავდა ხელოვნური ტყავის ფეხსაცმლის შემკერავი ახალი საამქრო. პირველ ხანებში აქ დიდი იყო ხელით შრომის ხარჯები, რის გამო საამქრო დღეში მხოლოდ 200 წყვილ ფეხსაცმელს უშვებდა. მეფეხსაცმლეებმა საკუთარი საშუალებებით დაამნტკიცეს მძლავრი კონვეიერი. ამით მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, ორნახევარჯერ გადიდდა პროდუქციის გამოშვება. ახლა საამქროს კოლექტივი ყოველდღიურად უშვებს ხელოვნური ტყავის 500 წყვილზე მეტ ფეხსაცმელს.

კომბინატის მექანიკოსთა ჯგუფმა მთავარი მექანიკოსის ალ. თოდაძის წინადადებით შეიმუშავა ფეხსაცმლის ზედაპირის გადამჭიმავი აპარატისათვის საკარცხლების ადგილზე დამზადების ტექნოლოგია. მოკლე ხანში კიდევც მოაწყეს წარმოება ასეთი საკარცხლების გამოსაშვებად, რასაც წინათ აქ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან იღებდნენ. ამით საწარმო გათავისუფლდა სატრანსპორტო ხარჯებისაგან, აღკვეთა შეფერხებები და მნიშვნელოვანი ეკონომიაც მიიღეს. მეფეხსაცმლეებმა ვადამდე უზრუნველყვეს ნახევარი წლის გეგმის შესრულება. ამასთან გასწიეს 62.000 დეციმეტრი საპირე და 33.500 დეციმეტრი საძირე ტყავის ეკონომია. დაზოგილი ნედლეულით გეგმის გადამეტებითგამოშვებულია 4.500 წყვილი ფეხსაცმელი.

ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივის გადაწყვეტილებაა არ დასჯერდეს მიღწეულს, დაუცხრომლად იბრძოლოს ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპისათვის და დაგეგმილი კაპიტალური დაბანდების გაუდიდებლად 6 წელიწადში შეასრულოს შვიდწლედი.

შ. ჯაფარიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ფუტკარივით შრომობს

სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია ხალხში, და ვისაც სწავლა გულით უნდა, იგი შრომაშიც განაგრძობს დასახული მიზნის მიღწევას. ამ გოგონამ შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და შრომას დაუკავშირა სწავლაზე ფიქრი.

— სად აპირებ გამოცდების ჩაბარებას, რომელ ინსტიტუტში? — ეკითხებოდნენ ტოლები ელენე კენკოშვილს, და მისი პასუხი მხოლოდ ერთი იყო:

— თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში.

ერთი წელია, რაც ელენე წარმოებაში მუშაობს. მანამდე მისთვის სრულიად უცნობი იყო ფეიქრის ხელობა. პირველად ნახა სართავი, საქსოვი დაზგები. მალე შეისწავლა არჩეული პროფესია და ახლა კომბინატის ერთ-ერთი მოწინავე მქსოველია. ვალენტინა გაგანოვას შრომითმა გმირობამ ხომ მისაბაძი მაგალითი მისცა. ფუტკარივით შრომობს ახალგაზრდა ქალიშვილი. 140-150 პროცენტით ასრულებს დღიურ დავალებას.

სწავლასაც არ ივიწყებს შრომაში დაწინაურებული გოგონა. თავისუფალ დროს კვლავ იმეორებს საშუალო სკოლაში გავლილ მასალას და უმაღლესი ცოდნის მიღებაზე ფიქრობს.

სურათზე: მოწინავე მქსოველი ელენე კენკოშვილი.

ფოტო ხ. ონანოვისა.
(საქდევის ფოტოქრონიკა).

„მწვანე ოქროს“ გადაამუშავებენ

ავტომატები



ჩაის ფოთლის გადამუშავების ზრდა რესპუბლიკაში ათას ტონებში

• • •

შვიდწლედის უკანასკნელ წელს რესპუბლიკაში უნდა მოიკრიფოს და გადამუშავდეს 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი და საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს ჩაის მზა პროდუქციის ხარისხი. ასეთი დიდი რაოდენობის ნედლეულის გადამუშავებისათვის აუცილებელია დაჩქარდეს ჩაის ფაბრიკებში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ამ მხრივ პასუხსაგები ამოცანები დგას ჩაის მრეწველობის ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე, რომელიც მოწოდებულია შექმნას მაღალი წარმადობის ახალი მანქანები, ნაკადური ხაზები. ინსტიტუტში მექანიზებული ნაკადური ხაზების შექმნა ორი გზით მიმდინარეობს — ახალი მანქანებისა და დანადგარების შექმნით და არსებული მექანიზმების მოდერნიზაციით.

ინსტიტუტში შექმნეს და მრეწველობაში უკვე დაინერგა ჩაის ფოთლის საღონობი განუწყვეტელი მოქმედების აპარეგატი. შემუშავებულ იქნა მწვანე ბალის ჩაის გადამუშავების ახალი მეთოდი — ფოთლის ფიქსაციის მეთოდი, და შეიქმნა საფიქსაციო მანქანა, რის შედეგად მწვანე ჩაის გადამუშავებაში წინათ არსებული ორი პროცესი— დაორთქვლა და შეშრობა — გაერთიანდა.

მეცნიერ მუშაკებმა შექმნეს უწყვეტი მოქმედების როლერი. მასში შენარჩუნებულია არსებული როლერების მუშაობის დადებითი მხარეები და განხორციელებულია გრეხის პროცესის უწყვეტობა მწვანე მახარისხებელზე მიწოდებით, რითაც აცილებულია პროცესთაშორისო შრომატევადი სამუშაოები.

მ. უავეშვილი,
ჩაის მრეწველობის ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ახალი ქარხანა

აგარის შაქრის კომბინატში ამშენდება საკონსერვო ქარხანა, რომელიც ამზადებს მრავალი სახის მურაბას, კომპოტს, ბოსტნეულის კონსერვს.

საკონსერვო ქარხანა აღჭურვილია უახლესი მანქანა-დანადგარებით. შრომატევადი პროცესები მექანიზებულია.

ქარხანაში მუშამოსამსახურეთა 90 პროცენტზე მეტი ახალგაზრდობაა. კომკავშირული საგზურით აქ საშუალო სკოლის 120 კურსდამთავრებული მოვიდა. ახალგაზრდა კადრების დაოსტატებაზე ბევრს მუშაობენ ცვლის უფროსები მ. ჩიხრაძე და თ. ფილია, მფიქტრები ე. ბაქრაძე, ცვლის ქიმიკოსი ნ. ღვინიაშვილი.

ყოველდღიურად ქარხანა 13 ათას ქილა კონსერვს უშვებს და გეგმას 150 პროცენტით ასრულებს. დღეისათვის გამოშვებულია 300 ათასზე მეტი ქილა კონსერვი. მალე ქარხანა შეიფდგება პამიდორის გადამუშავებას.

სიახლე მაღაროში

უკანასკნელ ხანს ქვაისის მაღაროებში მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება დაინერგა. ახლა ვაგონეტებზე მადნის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია. ბევრი სიახლეა გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობაში. წარმატებით მიმდინარეობს ახალი კაპიტალური წოლბერილის მშენებლობა. მშენებლობაზე ძირითადი სამუშაოთა მძლავრი ამწის დამონტაჟება. ამწის შეასვლა მწყობრში მადნის ამოღებასა და გადატანაზე გაწეული ხარჯებს თითქმის 30 პროცენტით შეამცირებს.

კაპიკებისაგან დგება მილიონები

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის გამომგონებლებს და რაციონალიზატორებს თავიანთი წვლილი შეაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. მათ იკისრეს ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 2 მილიონი მანეთი. ინჟინერ-ქიმიკოსმა გ. კობერიძემ და რ. ანდრეევამ შეიმუშავეს რეზინის წებოს ახალი რეცეპტი, რაც საშუალებას იძლევა წელიწადში დავზოგოთ ცხრა ტონამდე სპირტი. ინჟინერ ე. ჩქარეულის და ტექნოლოგ ა. სტაროვის წინადადებით ფეხსაცმლის შუასადებად მუყაოს ნაცვლად გამოიყენეს დეკორაციული ქიმი, რაც წელიწადში 70 ათას მანეთს დაზოგავს.

ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფმა, რომელშიც შედიან ა. სიდოროვი, ე. ივანიუშინა, ი. ხაზანოვი, ნ. კლიჯანი, თ. როდიონოვი და ა. არუთინოვი, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანეს ფეხსაცმლის შეკერვის ტექნოლოგიაში. „ამ ტექნიკური სიახლის წლიური ეკონომიური ეფექტი 235 ათასი მანეთია. მექანიკოსმა ვ. ოგანეზოვმა გაუმჯობესა ლანჩის მიმკერებელი მანქანის კონსტრუქცია, რითაც გაიზარდა მისი წარმადობა და გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

ახლა ფაბრიკაში მოწყობილია კონკურსი საუკეთესო რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონებისათვის. წარმოების ნოვატორები მასობრივად ებმებიან ტექნიკური პროგრესისათვის ლაშქრობაში.

გ. გედევანიშვილი,
ინჟინერი.

ყველა, როგორც ერთი კაცი!

ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი წარმატებებს აღწევს შვიდწლედის ამოცანების განხორციელების ათვის ბრძოლაში. ექვს თვეში გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივეცით ასიათასობით მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ეს წარმატება მოპოვებულია კოლექტივის თავდადებული შრომით საწარმოს კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.

მანქანათმშენებლები დიდი ხანია ცდილობდნენ ბოვში კაზმის ჩატვირთვის, წიდისა და სხვა ნარჩენების გატანის მექანიზაციის განხორციელებას. ახლა ეს მეტად მძიმე და შრომატევადი პროცესები მექანიზებულია. ამისათვის მოეწყო სპეციალური ბუნკერი, გაიმართა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომლის საშუალებითაც წარმოების ნარჩენები სამსხმელო საამქროდან ვაგონეტებით გაიქცვა ეზოში.

ამწყობ და სამსხმელო საამქროებში დამატებით დაიდგა მძლავრი ხიდური ამწეები, რამაც გააადვილა მძიმე წონის სხმულების, დეტალების და მოწყობილობის შიგასაქარხნო ტრანსპორტირება.

ბათუმისმარკიანი მანქანები იგზავნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის საწარმოებში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. ეს ჩვენგან მოითხოვს ყოველდღიურად ვზრუნავდეთ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გავწიეთ. მთავრდება ხილ-ბოსტნეულის სახეხი მანქანის მოდერნიზაციის სამუშაოები. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხილ-ბოსტნეულის წვენსახდელი მანქანის მოდერნიზაცია, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება ორივე ამ მანქანის წარმადობა, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ქარხანაში განუხრელად იზრდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები. ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება წარმოების ნოვატორთა ყოველდღიური საზრუნავია. განსაკუთრებით საყურადღებოა ინჟინერ მ. ფაციაშვილის წინადადება, რომლითაც წვენსახდელ მანქანებში ბრინჯაოს მიმმართველი შეცვლილია უკანგავი ფოლადით, ამასთან, თუ წინათ მას ჩამოასხამდნენ ხოლმე, ახლა ტვიფრავენ. ეს წელიწადში ათეულ ათასობით მანეთი ეკონომიას აძლევს საწარმოს. არაერთი სასარგებლო წინადადების ავტორია ამწყობ ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. დუნდუა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი პ. ვოლოშინის და მ. დუნდუას ამწყობ ზეინკალთა, მ. ქარცივაძის მეყალიბე-ჩამომსხმელთა, ვ. ივანოვის მჭედელ-მექვაბეთა ბრიგადებმა.

ბათუმელი მანქანათმშენებლები მიღწეულს არ დასჯერდებიან, მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეს.

ი. ნოღაიდელი.
ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

მოძრავი ქარხნები

შვიდწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისა და სოფლად მშენებლობის გაფართოების დარგში. მასობრივად ჩადგება სარემონტო-ტექნიკური სადგურების, ადგილობრივი სამრეწველო და კულტურული ობიექტების, მეცხოველეობის ნაგებობების, სათბურების საშრობების, სასილოსე კოშკების, ელექტროსადგურების მშენებლობა.

სასოფლო ნაგებობებს თავისი სპეციფიკურობა აქვს, ამიტომ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, რომლებსაც ამ ობიექტების მშენებლობაზე იყენებენ, განირჩევა იმ კონსტრუქციებისაგან, რომლებსაც სამოქალაქო მშენებლობაში ხმარობენ. ეს საშუალებას არ იძლევა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის მათი დამზადება დავავალოთ ამჟამად მოქმედ ქარხნებს ან პოლიგონებს.

ამიტომ ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რკინაბეტონის ნაკეთობათა მოძრავი პოლიგონ-ქარხნების სწრაფი ტემპით მშენებლობას. ასეთი პოლიგონ-ქარხნის ტიპური პროექტი არსებობს. საწარმოს წლიური წარმადობა 3.000-4.000 კუბმეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციებია.

სოფლად — რკინაბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი პოლიგონ-ქარხნების მშენებლობა იმითაც არის გამართლებული, რომ გახანგრძლივდება ნაგებობათა ექსპლოატაციის ვადები, ამაღლდება მშენებლობის ტექნიკური დონე. შემცირდება მისი თვითღირებულება. გამსხვილებულ კოლმეურნეობებში არსებული ტექნიკა, სარემონტო-ტექნიკური სახელოსნოების დახმარებით, საშუალებას გვაძლევს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვით გადავიდეთ უფრო ეკონომიური— ბლოკებიანი ობიექტების მშენებლობებზე. სოფლად მშენებლობაში ინდუსტრიულ მეთოდებზე.

სასოფლო მშენებლობაში ასაწყობი კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება საშუალებას მოგვცემს დიდი რაოდენობით დავზოგოთ ხე-ტყის მასალა, გაჩანაგებას გადავარჩინოთ ტყეები. დადასტურებულია, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში სამოქალაქო მშენებლობასთან შედარებით ყოველი ერთი მილიონი მანეთის შესრულებულ სამუშაოზე 1.200-1.400 კუბმეტრით მეტი ხე-ტყის მასალა იხარჯება. შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით შესაძლებელი გახდება დავზოგოთ დაახლოებით მილიონი კუბმეტრი ხე-ტყის მასალა.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენს რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობის ტემპის დაჩქარებას, მისი თვითღირებულების მკვეთრ შემცირებას, ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას.

ინჟინერი მ. ნაციაშვილი.



თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორია, დაუცხრომლად იბრძვის დანადგარების მოდერნიზაციის, ახალი ტვიფრებისა და სამარკვების შემოღების, ჩარხების დეტალების დასამუშავებელი ნაკადური ხაზების დანერგვისათვის, წარმოების შემდგომი კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. სურათზე: კბილანების დამუშავების ნაკადური ხაზი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველობით შევარჩიოთ, გავანაწილოთ და აღვზარდოთ კადრები

საქართველოს სსრ აპარის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებს მიეძღვნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დ. მამულაძემ.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, — თქვა ამხ. მამულაძემ, — პარტიულ ორგანიზაციებს დაუსახა უმნიშვნელოვანესი ამოცანები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში.

უკანასკნელ წლებში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის ყველა უბანი განმტკიცდა კვალიფიციური კადრებით. ამჟამად აჭარის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში 5 ათასზე მეტი უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტი მუშაობს.

ამასთან ერთად, აღნიშნა მომხსენებელმა, კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, რომელთა გამოვლინება და გამოსწორება აჭარის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა. მთავარი ნაკლია ორგანიზატორული მუშაობის სისუსტე. ჩვენი ბევრი კოლმეურნეობა საოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობას ყოველწლიურად ზრდის. ამასთან არიან ისეთებიც, რომლებიც შეუწყნარებლად ჩამორჩებიან. აქ საქმე დამოკიდებულია კადრებზე, ორგანიზატორებზე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებზე. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს კი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, რიგ შემთხვევაში კადრების ცუდი შერჩევის, უკონტროლობის პირდაპირი შედეგია ბორტმოქმედებისა და ვაჭრობის წესების დარღვევის მრავალი ფაქტი აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს, აპარკოოპკავშირის გამგეობისა და სასადილოების ტრესტის მუშაობაში. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა განიხილა ბათუმის საავაჭრო ორგანიზაციებსა და აპარკოოპკავშირის სისტემაში კადრებთან მუშაობის მდგომარეობა და სერიოზული დარღვევები გამოავლინა. ამ დარღვევებისათვის აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი შ. შარაშიძე, მისი მოადგილე დ. გაბელაია, ბათუმის სასადილოების ტრესტის დირექტორი მ. გიორგაძე და სხვები სათანადოდ იქნენ დასჯილნი. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციებში კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმე ახლაც რიგზე არ არის.

— უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში, — ამბობს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. უკლება, — ბევრი ახალგაზრდა მუშაკი დაწინაურდა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე. საქალაქო კომიტეტი და პარტიული ორგანიზაციები კადრების შერჩევასა და განაწილებაში ითვალისწინებენ ქალაქის მოსახლეობის მრავალეროვან შემადგენლობას, რაც ხელს უწყობს მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გოგიტიძემ აღნიშნა, რომ კადრების სწორად შერჩევამ, განაწილებამ და აღზრდამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის წარმატებათა მიღწევაში. ქობულეთელი მეჩაიეები თავდადებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მათ მაის-ივნისის დავალება 19 ივნისისათვის შეასრულეს.

პარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ქონიაძემ თავის გამოსვლაში თქვა:

— მართალია, ახალგაზრდა კადრებს გაბედულად ვაწინაურებთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად და სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე, მაგრამ შემდგომ ნაკლებად ვზრუნავთ მათი იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი მათგანი თავს ვერ აერთმევს საქმეს.

ადგილობრივი მეურნეობის საწარმოების კვალიფიციური კადრებით განმტკიცების საკითხებზე ილაპარაკა აჭარის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრმა ი. ოგანეზოვმა.

— კადრების არასწორად შერჩევის შედეგიც არის, — თქვა პარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ხახუტაიშვილმა, — რომ უკანასკნელ ერთ, წელიწადში სხვადასხვა მიზეზით განთავისუფლებული ან მოხსნილია კოლმეურნეობის 6 თავმჯდომარე, პარტიული ორგანიზაციის 33 მდივანი, შემფუთავი ქარხნების 3 დირექტორი, გარდა ამისა სხვადასხვა დანაშაულისათვის 247 კომუნისტს პარტიული სასჯელი დაედო.

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა, — ამბობს პარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივანი ა. ანანიძე, — იკისრეს ვალდებულება წელს გააშენონ ვენახი 50 ჰექტარზე, ჩაი — 42 ჰექტარზე, ხეხილი — 40 ჰექტარზე და დაფნა — 11 ჰექტარზე; თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 80 ცენტნერი ყურძენი და 14,5 ცენტნერი თამბაქო, ერთ ძროხაზე — 870 კილოგრამი რძე და სხვ. სწორედ ამ ამოცანების შესრულებას დაექვემდებარა ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა. ამის შედეგად კოლმეურნეობებმა ვენახის, ხეხილისა და დაფნის გაშენების დავალებები წარმატებით გაანაღდეს და ყველა პირობა შექმნეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. მაკარიძემ ილაპარაკა მაღალმთიანი რაიონების სპეციალისტებით—ექიმებით, აგრონომებით, ზოოტექნიკოსებით, ინჟინრებით უზრუნველყოფის საკითხზე და მოითხოვა, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ამ რაიონებიდან ახალგაზრდების სპეციალურ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მიღებას.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე აპარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ზოიძე, ქობულეთის რაიონის სოფელ აჩყვის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარე ქ. მერიციდი და სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. პრიხოდკო.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. კუჭავამ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.



მზეზე, ზღვაზე

ზაფხულის ცხელი დღეებია. ზოგს მთისკენ, ზოგს ზღვისკენ მიუწევს გული. ბევრჯერ სახლში დაბრუნების დროც ავიწყდება, როცა ლურჯ ტალღებში იგრილებს სხეულს. ამოვა ნაპირზე, მზეზე ირუჯება.

გათენდება თუ არა, კვლავ აკითხავს მოლიცლივი ზღვას, სადაც დასასვენებლად იმყოფება, ერთი წუთიც არ უნდა უქმად დაკარგოს. მართალია, დაწვა იცის პირველმა გატაცებამ, მაგრამ მაინც არ იშლის მზის აბაზანების მიღებას, წევს და ოცნებობს ცხელ სილაზე.

დაუვიწყარია ზაფხული ზღვაზე. ხედავ ხალხით გაჭედილ სანაპიროს, სხვადასხვა მხარისკენ მიმავალ გემებს, ცისფერ გლისერებს, თითქოს ფრენით რომ მიაპობენ ზვირთებს. გიყვარს, გიტაცებს ბობოქარი ზღვაც, ნაპირს რომ გუგუნით ედგაფუნება და თოლიებს არწევს ამღვრეულ ტალღებზე.

დამსვენებლებით სავსეა ახლა შავი ზღვის სანაპირო კურორტები. საიდან არ ჩამოსულან მზიერ აფხაზეთში, მის საუცხოო კურორტებზე დასასვენებლად. სურათზე: ჩელუსკინ ნელების სახ. სანატორიუმი ქ. გაგრაში.

ფოტო ს. კოროტკოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა.)

ყური ვუგდოთ მშრომელთა ხმას!

ერთი რაისაგჭოს ორი გადაწყვეტილების შესახებ

ჩვენს ხელთ არის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ორივე ერთ საკითხს — ადამიანის საბინაო პირობებს ეხება. ბრაფერს ვიტყოდით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ათა ოთხით მანეთის ზარალს არ აყენებდეს ტრამვაელ მუშას ნიკოლოზ მიხეილის-ძე აბესაძეს.

რამდენიმე წლის წინათ ტრამვაის კონდუქტორმა ნიკოლოზ აბესაძემ დეპოს ქუჩაზე № 25-ში პატარა, ერთოთახიანი სახლი იყიდა. რადგან ნაკლები საშუალება იძლეოდა, აბესაძემ ამ ოთახზე მეორე ოთახის მიშენება განიზრახა და ნებართვისათვის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს მიმართა, აღმასკომმა საკითხი განიხილა და „1957 წლის 18 სექტემბერს ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „ნიკოლოზ მიხეილის-ძე აბესაძეს ნება მიეცეს თავის საცხოვრებელ სახლს დეპოს ქ. № 25-ში მიაშენოს ერთი ოთახი აღმოსავლეთის მხრიდან. ამასთან დაკავშირებით მასვე დაეკალოს ამოაშენოს ძველი ოთახის ფანჯრის ხვრელები დასავლეთის მხრიდან და მოხსნას სახლზე მიკეთებული ქოლგა“.

ამ „გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტორის განყოფილებაში ნ. აბესაძეს პროექტი დაუმტკიცეს და მშენებლობის ნებართვა მისცეს. რამდენიმე თვეში ძველი ოთახის გვერდით ახალი კაპიტალური ოთახიც გაკეთდა. მშენებლობაზე რამდენიმე ათასი მანეთი დაიხარჯა. როცა ჯერი ძველი და ახალი ოთახების ერთ სახურავქვეშ მოქცევაზე მიდგა პროექტის შესაბამისად, სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რასაც ნ. აბესაძე არ მოელოდა, ხოლო ჩვენ მანამდე ვერ დავიჯერეთ, სანამ თვითონ შავად დაწერილი დოკუმენტი არ წარმოგვიდგინეს. რაისაბჭოს აღმასკომმა აბესაძის მშენებლობის საკითხზე 1958 წლის 3 სექტემბერს გამოიტანა მეორე გადაწყვეტილება. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „დაევალოს მოქ. ნ. მ. აბესაძეს მშენებლობის დამთავრების შემდეგ დაშალოს სახლის ძველი ნაწილი (ე. ი. ძველი ოთახი), მიქცეული თავისი მდებარეობით მოქ. მაღლაშვილის სახლის მხარეზე“ (მაღლაშვილი ის პირია, რომელმაც აბესაძეს ოთახი მიჰყიდა).

ნიკოლოზ აბესაძემ შეიტყო თუ არა ეს, — მიმართა აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს და კომუნალური განყოფილების გამგეს დ. ახალედიანს: რათ მაძალებენ მეორე ოთახის მშენებლობის ნებართვას, თუ პირველს დამანგრევინებდით, ხარჯი რათ გამაწევინეთ, თუ აირია საქმე, რასაც ნ. აბესაძე არ მოელოდა, ხოლო ჩვენ მანამდე ვერ დავიჯერეთ, სანამ თვითონ შავად დაწერილი დოკუმენტი არ წარმოგვიდგინეს. რაისაბჭოს აღმასკომმა აბესაძის მშენებლობის საკითხზე 1958 წლის 3 სექტემბერს გამოიტანა მეორე გადაწყვეტილება. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „დაევალოს მოქ. ნ. მ. აბესაძეს მშენებლობის დამთავრების შემდეგ დაშალოს სახლის ძველი ნაწილი (ე. ი. ძველი ოთახი), მიქცეული თავისი მდებარეობით მოქ. მაღლაშვილის სახლის მხარეზე“ (მაღლაშვილი ის პირია, რომელმაც აბესაძეს ოთახი მიჰყიდა).

ნიკოლოზ აბესაძემ შეიტყო თუ არა ეს, — მიმართა აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს და კომუნალური განყოფილების გამგეს დ. ახალედიანს: რათ მაძალებენ მეორე ოთახის მშენებლობის ნებართვას, თუ პირველს დამანგრევინებდით, ხარჯი რათ გამაწევინეთ, თუ ისევ ერთ ოთახში ვიქნებოდი და სარგებელს ვერაფერს ვნახავდი.

დაზარალებულის კანონიერ მოთხოვნას ლენინის რაისაბჭოს აღმასკომში რომ არავინ უსმინა, მიხეილ აბესაძემ დაბმარებისათვის რედაქციას მიმართა.

აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჯანჯღავამ ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად უცნაური განმარტება მოგვცა: ძველი ოთახის დანგრევა აბესაძეს იმიტომ დავალეთ, რომ ეზო ძალიან პატარა ვამოდის და სახლისა და ნაკვეთის დაწესებული თანაშეფარდება ირღვეოდა.

ამ ფაქტიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: ლენინის რაისაბჭოს აღმასკომში ზოგჯერ ზერელედ წყვეტენ მოსახლეობის ყოფაცხოვრების მტკივნეულ საკითხებს, უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ ადამიანებისადმი.

მ. არაზიძე.

სანამდე გასტანს ეს მიმოწერა?!

გასულ წელს ოროთახიანი ბინა მომცეს კანდელაკის ქუჩაზე ახალაშენებულ № 50 სახლში. ამ ამბავმა, ცხადია, მე და ჩემი ოჯახის ყველა წევრი დიდად გაგვახარა. სამწუხაროდ, ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ახალ ბინაში გადასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც კი გათბობა დაიწყეს, იატაკიდან ჩვენს ოთახებში კვამლის ბოლი შემოიჭრა. სულ გაიმურა კედლები და ავეკვნ.

იკითხავთ ალბათ, საცხოვრებელ ოთახში რატომ ამოდის კვამლი იატაკიდან? იმიტომ, რომ მშენებლებმა ყველა აუცილებელი სამუშაო არ შეასრულეს და სახლი დიდი დეფექტებით გადასცეს საექსპლოატაციოდ. ჩემი ბინის ქვეშ სარდაფში მოთავსებულია ცენტრალური გათბობის საქვაბე მეურნეობა, რომლის სავენტილაციო მოწყობილობა და საჰაერო მილები ცუდად არის გაკეთებული, თანაც მოუთავებელია.

ამ მდგომარეობამ საშინლად შემაწუხა. დახმარებისათვის მიმართე ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს — ან ახალ ბინაში გადამიყვანეთ ან ეს დეფექტები გამოასწორეთ-მეთქი, მაგრამ ყურს არავინ მიგდებს. საბინაო სამმართველოს უფროსი ა. წილოსანი აცხადებს — მაგ დეფექტების გამოსწორებას 30 ათასი მანეთი დასჭირდება, ამოდენა თანხა საიდან მაქვს, მშენებლების ბრალია და მშენებლებმა გამოასწორონ თავიანთი დანაშაულიო. მშენებლები, საქმახტმშენის ლილოს სამონტაჟო უბნის ხელმძღვანელები კი აცხადებენ: სახლი საექსპლოატაციოდ რომ გადავიქცეთ, თუ რაიმე დეფექტი ჰქონდა, მაშინ უნდა ეთქვათ, ახლა არავითარ პრეტენზიას არ მივიღებთო.

მეორე წელიწადია უშედეგოდ დავდივარ ხან ორჯონიკიძის რაისაბჭოში, ხან ქალაქის საბჭოს აღმასკომში, ხან საქშახტმშენში, ფრენ ქალაღდებს, ერთმანეთს ავალებენ, ერთმანეთს უგზავნიან მიმართვებს, მაგრამ საქმეს კი მაინც არ ეშველა.

ახლა ზაფხულია, ღუმელში ცეცხლი არ ანთია და ოთახში კვამლი არ შემოდის, მაგრამ ხომ მოვა ზამთარი? მაშინ რა ვქნა, კვლავ კვამლში ვიცხოვრო? ეფიქრობ, ამის შემდეგ მაინც გამაცემენ ამომწურავ პასუხს საქშახტმონტაჟის სამმართველოს უფროსი ნ. მეტრეველი და ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსი ა. წილოსანი.

იაკინთე კვერელიძე,
პენსიონერი, სკკპ წევრი 1921 წლიდან.

ექიმთა გრიგადა სოფლად

ოზეი. (საკ. კორ.). კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ქალაქ ონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა. ამას წინათ მათ მოაწყეს საკოლმეურნეო სოფლებში გასვლა.

ექიმთა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ ნ. ცეცაძე, კ. ხარებაშვილი, ვ. პაპიძე და ე. ქებაძე, მივიდა ღების, ჭიორის, გლოლის კოლმეურნეობებში. ექიმებმა ინახულეს ავადმყოფი კოლმეურნეები და აღმოუჩინეს მათ სამედიცინო დახმარება. სოფლის მოსახლეობისთვის მოეწყო ლექციები და მოხსენებები.

ექიმებმა მთიანი ზონის სოფლებში ორ დღეს დაჰყვეს.

მკითხველთა წერილებიდან

⊙ **საქართველოს სსრ** მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ბოლნისში მოაწყო სამეცნიერო სხდომა, მიძღვნილი ბოლნისის სიონის ზოგიერთი წარწერის გაშიფვრისადმი. სხდომაზე გამოვიდნენ აკადემიკოსები გ. ლეონიძე, კ. კეკელიძე, პროფესორები ა. ბარამიძე, მ. ჩიქოვანი, დ. გამეზარდაშვილი, გ. სიხარულიძე და სხვ.

ა. სეხნიაშვილი.

⊙ **რკინიგზის** სამტრედიის სალიანდაგო დისანსიის კოლექტივი საქმით გამოეხმაურა თაურეთის ასსრ საწარმოების მშრომელთა ინიციატივას და იკისრა შეეგროვებინა და დანიშნულებისამებრ გაეგზავნა 100 ტონა ლითონის ჯართი. ეს ვალდებულება პირნათლად არის შესრულებული. ჯართის შეგროვებაში თავი ისახელეს გზის საოსტატოებმა, რომლებსაც ა. ლეკვეიშვილი, ვ. თოფურია და ა. ქაჩიბაია ხელმძღვანელობენ.

ნ. მანჯგალაძე.

⊙ **თერჯოლაში** ამ დღეებში ჩამოუალბდა ავტოსატრანსპორტო კოლონა, რომელსაც გადაეცა 5 სატვირთო ავტომანქანა. მალე მიიღებენ აგრეთვე ავტობუსს, 2 მსუბუქ და 1 სატვირთო ტაქსის, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ რაიონის მშრომელებს.

ვ. კუტალაძე.

⊙ **სულ უფრო კულტურული** და კეთილმოწყობილი ხდება ხობის რაიონის საჯიჯაოს სასოფლო ცენტრი. ამას წინათ სოფელს შეემატა ახალი უნივერსალური მაღაზია, რომელსაც აქვს მასობრივი და პირველი მოხმარების, აგრეთვე სამრეწველო, საგალანტერეო და სასოფლო-სამეურნეო საქონელი.

შ. ძარაია.

მეტალურგთა დასვენება

მშვიდობით იმგზავრეთ, ქარგად დაისვენეთ, — ეუბნებოდნენ ამას წინათ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს მუშაკები მვალცაკ ვ. ხეცურიანს. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა სარიმის სანატორიუმის საგზური მისცა მას.

ქარხნის ათობით მშრომელი ისვენებს და მკურნალობს პროფკავშირული საგზურებით ყოველთვიურად სოჭის, იალტის, კისლოვოდსკის, წყალტუბოს, ესენტუკისა და პიატიგორსკის სანატორიუმებში და საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა ჯანმრთელობის კერაში. წელს სანატორიუმისა და დასასვენებელი-სახლის საგზურები მიიღეს ამ საწარმოს 1.200-მდე მეტალურგი.

მოწინავე მუშათა ჯგუფი ტურისტული საგზურებით მოიარეს სახალხო დემოკრატიის მთელ რიგ ქვეყნებს. კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ა. ძამაშვილი წავა რუმინეთში, საგლინავი საამქროს ოსტატი ნ. უბირია და ციანკოგრაფის მუშა მ. ზაზაევი — პოლონეთში, ლაბორანტები ე. ყურაშვილი და მ. ხუხუნაშვილი — ჩეხოსლოვაკიაში.

წერილების კვალდაკვალ

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩაში კულტურის სახლის მშენებლობა ჭიანურდება, გზები და ბოგირები დაზიანებულია და შეკეთებას მოითხოვს. ამ საქმისათვის მოსახლეობაში ერთი წლის წინათ შეაგროვეს ფული, მაგრამ დღემდე არც საქმე გაუკეთებიათ და არც ფული ჩანს — გვწერდნენ ობჩელი კოლმეურნეები.

წერილი ზომების მისაღებად მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომს გაეგზავნა. აღმასკომიდან გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად დადასტურდა. 1958 წლის დასკვარში თოვლმა დაზიანა ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის სამკითხველო. იგი დროებით გადატანილ იქნა დაქირავებულ ბინაში. კოლმეურნეობამ დაზიანებული შენობა დაშალა, საჭირო მასალები დაუმატა და სამკითხველოსათვის ახალი შენობა ააგო.

მოსახლეობის დავალებით მასწავლებელმა გ. სირბილაძემ 23 ოჯახიდან აკრიფა 790 მანეთი ობჩის საუბნო გზის შესაკეთებლად, მაგრამ მან დავალების შესრულება ვერ შეძლო, ხოლო აკრეფილი თანხა თითქმის ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა ხელზე. რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ მასწავლებელ გ. სირბილაძეს ამ უპასუხისმგებლობისათვის სათანადო სასჯელი დაადო, ხოლო აკრეფილი თანხა მოსახლეობას უკანვე დაუბრუნდა.

სოფელ ობჩის მეორე უბანში საგზაო განყოფილების სახსრებით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით აიგო ერთი ბოგირი, შეკეთდა გზები და ბოგირები. მიღებულია ზომები დანარჩენი გზებისა და ბოგირების შეკეთების დაჩქარებისათვის.

წიგნების საყარაულში

საყურადღებო ნაშრომი

ქართული ტექნიკური ლიტერატურა არცთუ მდიდარია. წიგნებით ჩვენი ძმეყნის ბუნებრივი სიმდიდრეთა დამუშავების მეთოდების შესახებ. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ზურაბიშვილის ნაშრომი — „ჭიათურის მანგანუმის საბადოს დამუშავების მეთოდები“ — ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს.

მეტალურგიული მრეწველობის განვითარების მაღალმა ტემპმა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას დაუსახა დიდი ამოცანები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მადნის მოპოვების პროცესების სრულ მექანიზაციას.

ი. ზურაბიშვილის წიგნი სწორედ ამ საკითხისადმი მიძღვნილი. მასში დეტალურად არის განხილული ყველა ის მეთოდი, რომლებიც ამჟამად ჭიათურის მაღაროებშია გამოყენებული მარგანეცის ამოღების გადიდებისათვის. ნაშრომში ფართოდ არის გაშუქებული შედეგები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა, რომელსაც უკანასკნელ წლებში ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტი.

მადნის მოსაპოვებლად ჭიათურის მაღაროებში ძირითადად იყენებენ სპირაფოების, ლავების და კამერულ-სვეტურ მეთოდებს. უფრო გავრცელებულია სპირაფოების მეთოდი. საბადოს სამთო-გეოლოგიური და ტექნიკური პირობების შესაბამის შედეგად ირჩევა, რომ გამოყენებულ მეთოდებს შორის ყველაზე მიზანშეწონილია არა სპირაფოების, არამედ ლავების მეთოდი, რომელიც „გაცილებით რაციონალური, პროგრესული და პერსპექტიულია. ეს მეთოდი თანამედროვე ტექნიკურსალური სამთო მანქანების გამოყენების დიდ შესაძლებლობას იძლევა, მაშინ როცა კამერულ-სვეტური და განსაკუთრებით სპირაფოების მეთოდი დიდ დაბრკოლებას ქმნის მადნის მოპოვების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გზაზე, იწვევს დანაკარგებს.

აღსანიშნავია, რომ შრომაში პრინციპულად არ არის დაყენებული არარენტაბელური, პრიმიტიული და ხშირ შემთხვევაში უსაშიშრობის თვალსაზრისით მიუღებელი სპირაფოების მეთოდის ახალი, უფრო პროგრესული დამუშავების მეთოდებთ შეცვლის საკითხი.

წიგნში მოცემულია საბადოს ცალკეული უბნების დაჯგუფება სამთო-ტექნიკური პირობების მიხედვით, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ დამუშავების მეთოდის შერჩევის საქმეს.

წიგნის მეორე თავში — „საბადოს დამუშავების მოკლე ისტორიული ცნობები“ დაშვებულია ზოგიერთი არასიზუსტე. ავტორის აზრით, აკაკი წერეთელმა პირველმა 1875 წელს დააყენა საბადოს დამუშავების საკითხი. თარიღი და ფორმულირება ამ წინადადებისა სწორი არ არის, რადგან აკაკიმ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა 1864 წელს. ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის თარიღად ავტორი 1896 წელს ასახელებს, მაშინ როცა ეს გზა ოფიციალურად 1895 წლის დასაწყისში გაიხსნა. სპირაფოების მეთოდის შეფასებისას ერთი და იგივე მაჩვენებელი— „მრავალსანგრევიანობა“ ჩათვლილია ამ მეთოდის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარედ (გვ. 53).

ამ შენიშვნების მიუხედავად, ი. ზურაბიშვილის შრომა ქართული ტექნიკური ლიტერატურის კარგი შენაძენია. ის სამსახურს გაუწევს წარმოების მუშაკებს, სტუდენტებს, საპროექტო ორგანიზაციებს და მრეწველობის ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ვ. ჭანიშვილი,
სამთო ინჟინერი.

ადამიანის სიცოცხლისათვის

ავადმყოფზე ფსიქიკური ზემოქმედებით სამკურნალო ეფექტის მიღება ფსიქოთერაპიის სახელით არის ცნობილი და ის მკურნალობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. „ამ სიტყვის ეხება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფ. ი. მენთეშაშვილის მონოგრაფია „ფსიქოთერაპია“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

ექიმის ყოველგვარი მოქმედება ავადმყოფის მიმართ ყოველთვის შეიცავს ფსიქოთერაპიულ ელემენტებს და საბოლოო ანგარიშით სამკურნალო ეფექტი მხოლოდ თერაპიულ საშუალებათა მოქმედებით კი არ აიხსნება, არამედ ამავე დროს ექიმის ავტორიტეტის, ავადმყოფის ფსიქიკაზე მისი გავლენის კომპლექსური ზემოქმედების შედეგია.

ფსიქოთერაპიის აწარმოებს ყველა მკურნალი, განსაკუთრებით კი სპეციალისტი ფსიქოთერაპევტი. ის ადამიანის ფსიქიკაზე ფსიქიკური გავლენის რთულ საკითხებს ეხება. ამიტომ ფსიქოთერაპიის არსის განხილვა ფრიად საინტერესოა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

სარეცენზიო წიგნში გადმოცემულია ზოგადი ცნობები ფსიქოთერაპიის შესახებ, ცალცალკეა განხილული ფსიქოთერაპიის ისეთი სახეები, როგორიც არის აქტიური, რაციონალური, შთაგონებითი და ჰიპნოზური ფსიქოთერაპია, რის შემდეგაც გამოტანილია დამაჯერებელი და სრულფასოვანი დასკვნები.

ყურადღებას იპყრობს ავტორის პირად დაკვირვებათა აღწერა.

დიდია სიტყვიერი ზეგავლენის ძალა. სიტყვაა, ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების მიხედვით, ძლიერი პირობითი გამაღიზიანებელია და ამიტომ სიტყვას ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების უდიდესი შესაძლებლობა აქვს.

სიტყვა ფსიქოთერაპიის წამყვანი ფაქტორია, სხვა ელემენტებს კი დამხმარე სებას ფართოდ იყენებდნენ მატერიალური სარგებლობის მიზნით.

„ბიზანტიელი და რომაელი ქურუმები, — წერს ნაშრომის ავტორი, — განსაკუთრებულ ადგილებებს იჩენდნენ ამ მხრივ, რაც მათთვის მეტად სასარგებლო საქმეს წარმოადგენდა. ისინი ძალიან ზშირად რელიგიური ადათების შესრულებისას მმართავდნენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ შთაგონებას, რომელიც ფაქტიურად ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადადიოდა. ასე იქმნებოდა სხვადასხვა „ჯადოსნური მოვლენები“, რომლებსაც მაშინდელი სამღვდელოება ასაღებდა ღვთაებრივი ძალის გამოვლინებად“ (გვ. 33).

შრომაში განხილულია ფუნქციონალური ნერვულ დაავადებათა ძირითადი ნიშნები.

ავტორი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს საქართველოში მეცნიერული ფსიქიატრიის ფუძემდებლის პროფესორ მ. ასათიანის დამსახურებას. „მ. ასათიანმა, — წერს ი. მემთეშაშვილი, — პირველმა მსოფლიოში, ჯერ კიდევ 1911 წელს გამოიყენა ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება ფსიქონევროზების არსის ასახსნელად. ამ მნიშვნელოვანმა აღმოჩენამ ერთი მხრივ გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენები ფსიქონევროზოლოგიის დარგში, მეორე მხრივ კიდევ უფრო განამტკიცა თანამედროვე მედიცინის მატერიალისტური პოზიციები“ (გვ. 43).

მ. ასათიანის კონცეპციით ფსიქონევროზი პირობითრეფლექსური ბუნებისაა, ის. პავლოვიანური პირობითი რეფლექსია.

აღწერილია ფსიქოთერაპიული სეანსების ჩატარების ტექნიკის ძირითადი საფუძვლები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს მ. ასათიანის შთაგონების თავისებური მეთოდის — ე. წ. რეპროდუქციათა მეთოდის აღწერა.

დიდი ინტერესით იკითხება ჰიპნოზური ფსიქოთერაპია. სატკივნეების მანძილზე ჰიპნოზი ბუტლისთ მოცული მოვლენა იყო, მის „საიდუმლოებას“ დიდი ხნის განმავლობაში და „ღმერთნენ“ რელიგიის მსახურნი და მოხერხებულად იყენებენ მას მორწმუნეთა გასაყვლეფად. ჰიპნოზის არსის მეცნიერული შინაარსის დადგენა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში მოხერხდა. „მისი საიდუმლოების გახსნა, ჩვენდა საამაყოდ, საბჭოთა ფიზიოლოგიურ სკოლას ეკუთვნის, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი“ (გვ. 60).

ამჟამად დადგენილია, რომ ჰიპნოზი ხელოვნურად გამოწვეული თავისებური ნაწილობრივი ძილია.

წიგნში აღწერილია ჰიპნოზის შესწავლის ისტორია, გამოწვევის მეთოდები და მისი სამკურნალო გამოყენების ჩვენებანი. სამართლიანად გაკრიტიკებულ და დაგმობილია სანახაობითი ჰიპნოზი, რასაც საჯაროდ ახორციელებენ ე. წ. ჰიპნოტიზიორები.

შრომაში გვხვდება ზოგიერთი უხერხული ტერმინი და გამოთქმა, როგორიც არის: დისკუტაბელობა (გვ. 42), ერთი მეორეზე მომავალი გიჟყრები (გვ. 54), თავის ტვინის უმაღლესი განყოფილებები (გვ. 79), გამამკვრივებელი რიტმი (გვ. 81), ამ ხაზით წარმოებულმა დამოტეტომა გამოკვლევებმა (გვ. 82), ღრმოგანებით (გვ. 88).

დასახული თემიდან გადახვევად მიგვაჩნია ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებთა, კერძოდ ისტერიის კლინიკის გრცელი აღწერა.

ავტორი ლაპარაკობს ზერელე ძილისა და ჰიპნოზის დროს შეუკავებლად დარჩენილ თავის ტვინის ქერქის გარკვეული უბნების შესახებ და მას სადარჯო პუნქტების უწოდებს (გვ. 83, 87, 88). ეს ტერმინი ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ასეთ პუნქტებს კი არ სდ

თავისუფლება ბერძენ პატრიოტებს!

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს აშკარა უკანონობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლი გახდნენ მანოლის გლეზოსი და სხვა ბერძენი პატრიოტები.

ათენის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი ისტორიაში შევა როგორც თვითნებობის უმაგალითო აქტი ადამიანებისადმი, რომელთა სახელები გახდა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმისადმი, თავიანთი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის საქმისადმი თავდადებული სამსახურის სიმბოლო.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში კვლავ მოდის მრავალი დეპეშა და წერილი ცალკეული მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მტკიცედ მოითხოვენ გაუქმდეს უკანონო განაჩენი და დაუყოვნებლივ გათავისუფლონ მშვიდობის საქმისათვის თვალსაჩინო მებრძოლი მანოლის გლეზოსი და სხვა ბერძენი დემოკრატები.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრივი ძალები, რომლებმაც მარკუუიდან გამოგლიჯეს მანოლის გლეზოსი და მისი ამხანაგები, მიაღწევენ მათს სრულ განთავისუფლებას.

თავისუფლება ბერძენ პატრიოტებს!

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი

მადლობა!

ათენი, 27 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ანექსარტატოს ტიმოსის“ ცნობით, ბერძენმა დემოკრატებმა ე. ვიცასმა, გ. ტრიკალინოსმა, ა. სინგელაკისმა და ა. კარკაიანისმა, რომლებსაც ათენის სამხედრო ტრიბუნალმა მანოლის გლეზოსთან ერთად მიუსაჯა ხანგრძლივი პატიმრობა, პრესის საშუალებით მადლობა გადაუხადეს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომლებიც იბრძვიან მათი თავისუფლებისა და შელახული უფლებებისათვის.

ა. ა. გრომიკო შეხვდა ლ. ბოლცს

ჟენევა, 28 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ლ. ბოლცს, რომლის დროსაც განიხილეს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: გ. ა. ზორინი, ი. ა. მალიკი, ა. ა. სოლდატოვი, ი. ი. ილიჩოვი, ო. პ. სელიანინოვი; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ: გ. ტელეიტი, ფ. ფლორინი, ვ. მოისნერი, გ. ალგელი.

ვან კლიბერნი საბჭოთა გამოფენაზე ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. (საკდესი). პიანისტმა ვან კლიბერნმა ინახულა საბჭოთა გამოფენა ნიუ-იორკში. აი როგორ აგვიწერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამას:

„ახალგაზრდა ტეხასელი პიანისტი ვან კლიბერნი, რომელმაც შარშან მოსკოვი მოხიბლა, გუშინ გაოცებული იყო, როცა თავისი სახე დაინახა შოკოლადის კამფეტების კოლოფზე საბჭოთა გამოფენაზე კოლიზეუშში.

„წარმოიდგინეთ, ეს ხომ მე ვარ!“, წამოიძახა მან, როცა ეს კამფეტები შეინიშნა.

გამოფენის გენერალურმა დირექტორმა ალექსი მანჟულოვმა კლიბერნი მიიღო როგორც სპეტიო სტუმარი. ისინი ორივენი შეჩერდნენ საკონდიტრო ნაწარმის გამოფენასთან და მანჟულოვმა კლიბერნს მიართვა კოლოფი, რომელიც გაკეთებული იყო როიალის ფორმით და რომლის ხუფზე ფერადებით გამოსახული მისი ჩაფერებული, ახალგაზრდა სახე.

ყველაზე დიდხანს ისინი დარჩნენ გამოფენის იმ განყოფილებაში, რომელიც ეძღვნება კულტურის საკითხებს, სადაც გამოფენილია დიდი ფოტოსურათი კლიბერნისა, რომელიც ჩაიკოვსკის სახელობის პრემიას იღებს საბჭოთა კომპოზიტორის დიმიტრი შოსტაკოვიჩისაგან.

საბჭოთა საკონცერტო როიალის გარშემო შეიკრიბა ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფი ოჯახებიანად, რომლებიც აგრეთვე მოწვეული იყვნენ გამოფენაზე. კლიბერნი იქვე მიუჯდა როიალს და შესასრულა შუმანის „მიძღვნა“. შემდეგ მან შესასრულა მელოდია, რომელიც გაიგონა რუსეთში მოგზაურობის დროს, — „მოსკოვური სალამოები“.

რაკეტული იარაღის გამოცდა სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 27 ივლისი. (საკდესი). როგორც სეულის რადიომ გადასცა, დღეს კუნძულ კედიანდოზე ქალაქ ინჩხონის რაიონში წარმოებდა საცდელი რაკეტული იარაღის გამოცდა. გაუშვეს 78 სანტიმეტრიდან 560 სანტიმეტრამდე სიგრძის რაკეტები.

ეს რაკეტული იარაღის გამოცდის უკვე მეორე სერიაა, რომელიც სამხრეთ კორეაში წარმოებს.

ვენა, 27 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს ვენის ფესტივალის პირველი საპროგრამო დღეა. დილიდან ვენ ფესტივალის მონაწილეები ეცნობიან ვენის ღირსშესანიშნაობებს, ავსტრიის დედაქალაქის სტუმართმოყვარე მცხოვრებლებს.

ეწყობა ერთი პროფესიის ამხანაგების შეხვედრები, სტადიონებზე იმართება სპორტული შეჯიბრებები, გაიხსნა სხვადასხვა გამოფენა. უკვე გაიმართა პირველი გამოსვლები მხატვრულ კონკურსებზე. ვენის დემოკრატიულ ორგანოზე ზეციათა კრებების ტრადიციულ ადგილას — „ბაირერ ჰოფში“ ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ავსტრალიის, იტალიის, ახალი ზელანდიის, ორივე გერმანული სახელმწიფოს, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, რუმინეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდა მეტალურგები. ისინი განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხს, ერთმანეთს უზიარებენ წარმოებაში და ახალგაზრდობის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებას, უამბობენ მუშების სოციალურ მდგომარეობაზე თავიანთ ქვეყნებში.

სოფიენდარბაზში გულთბილად შეხვედნენ ერთმანეთს ახალგაზრდა მშენებლები. პირველი წუთებიდანვე გაიმართა მეგობრული საუბრები, რომლებიც, როგორც წესი, დამთავრდა მისამართების, ნიშნების, საჩუქრების გაცვლით. ი. ფხენიანელი ახალგაზრდა მუშა კიმ პონგ იუ აბრეშუმის თავსაფარს ახევს მბრძენზე თავის ახალ მეგობარს სამუშაოთა მწარმოებელს ინგებორგ დრეშერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ნორილსკელი ინჟინერი — მშენებელი ლეონიდ ივანოვი შეხვდა არგენტინელ მეუშას პედრო პარლოს. საუბარი ყველაზე ინტიმურია. დახმარებთ წარმოებს. მაგრამ მათ შესანიშნავად ესმით ერთმანეთის. მალე მოსაუბრეებს შეუერთდა ბულგარელი ჰიდროინჟინერი ივანე პოტოკოვი. იგი ეხმარება თავის კოლეგებს უკეთ გაეგონ ერთმანეთს და იყენებს მისთვის ცნობილ რამდენიმე ესპანურ სიტყვას. ახალი მეგობრები ერთმანეთს უცვლიან ნიშნებსა და ხუმრობენ იმის გამო, რომ ჰიდროინჟინერ ივანე პოტოკოვს „ჰიდრავლიკური გვარი“ აქვს.

ბულგარელი მუშები მლადენ მლადენოვი და ფილიპ ტრაიკოვი რაღაცას ეკამათებიან ჩინელ კოლეგებს. მლადენოვი გატაცებით ლაპარაკობს გიგანტური თბოელექტროცენტრალის „ბარიცას“ შენებლობის შესახებ. ეს, ამბობს იგი, იქნება ყველაზე დიდი ელექტროსამრეწველო კომბინატი ბულგარეთში.

ახალგაზრდა მუშები, ტექნიკოსები და ინჟინრები სხვადასხვა ქვეყნიდან განიხილავენ პროფესიულ საკითხებს, ერთმანეთს უამბობენ მშენებელ მუშათა მდგომარეობაზე, აყენებენ სხვა-დასხვა პრობლემასა და მოთხოვნას. რა კონტრასტული ზოგიერთი ქვეყნის მუშათა ხაამბობი, რომლებიც გაჭიდიან კაპიტალისტურ და კოლონიურ ჩაგვრას, მინსკელ მებათქაშეთა ბრიგადირის არკადი დიგილევიჩის ნაამბობთან შედარებით. თავის შესანიშნავი მუშაობისათვის არკადი დამსახურებული სახელითა და პატივისცემით სარგებლობს. იგი ბელორუსის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ვენაში გამგზავრების წინ დიგილევიჩმა „ფრიადზე“ დაიცვა ტექნიკოსის დიპლომი.

ამავე დროს ეწყობა ახალგაზრდა ფოტომოყვარეულთა და ფილატელისტთა შეხვედრები.

...ჰამბურგების ყოფილი სასახლის ჰოფბურგის ახლოს ფესტივალის სტუმრებს გამკელლები შემოხვევიან. იწყება მისალმება, ხელის მაგრად ჩამორთმევა, სწრაფად მყარდება კონტაქტი. ბევრი ვენელი იყო გუშინ ცენტრალურ სტადიონზე, სადაც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფესტივალი. ყველას ერთსულოვნად მიაჩნია, რომ გახსნის საზეიმო აქტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და წარუშლელ კვალს დატოვებს მთელი ვენის მეხსიერებაში.

ახალგაზრდა ვენელი მუშა აფრიკის დელეგატთა ჯგუფს უამბობს, თუ როგორ ცდილობდა ზოგიერთი წრე მთელი ავსტრიელი ახალგაზრდობის „სახელით“ დაემტკიცებინა, რომ ვენას ფესტივალის იდეებისადმი.

„გუშინდელმა დღემ, — აღფრთოვანებით ამბობს ვენელი, — ცხადყო, თუ როგორ ეკიდება ჩვენი ქალაქი ფესტივალს. ზოგიერთს მიაჩნია, რომ სტადიონზე იყო 100 ათასამდე კაცი. ძეუხარე ოვაცია, რომლითაც ხვდებოდნენ ვენელები ყოველ დელეგაციას პარადის დროს, ყოველ მხატვრულ და სპორტულ გამოსვლას, — იმის უდავო დადასტურებაა, რომ ვენას ახარებს ფესტივალი, რომ ვენა სიმპათიით ეკიდება შორეული და ახლო ქვეყნების ახალგაზრდა წარმომადგენლებს. ვენის მცხოვრებლებს, ამბობს იგი, სურთ მშვიდობა და კეთილი თანამშრომლობა ყველა ხალხთან“.

ვენა, 27 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს „მიუზიკფერაინში“ — ვენის ერთ-ერთ საუკეთესო საკონცერტო დარბაზში—გაიხსნა საერთაშორისო მხატვრული კონკურსი. ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის სახელით გარსიამ განაცხადა, რომ ახალგაზრდა ტალანტების ამ მორიგმა, სათვალავით მეშვიდე დათვალიერებამ დიდძალი მონაწილე მოიზიდა, ხოლო კონკურსის ეიერიში შედიან სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან ლეონიდე კოგანი, ემილ გილელსი, ვალერია ბარსოვა და სხვები.

ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა ტიტო სკიპამ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხატვრულ კონკურსებს შეუძლიათ გამოაცხონ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგში ასახელებენ მსოფლიო ოტისტულ ხელოვნებას. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ცხობილმა ავსტრიელმა ქორმეისტერმა მარსელ რუბინმა. ხვალ დილიდან დაიწყება კონკურსების სხვადასხვა სექციის—ვოკალური, ქამანიანი ინსტრუმენტების, კლასიკური ცეკვის და სხვა სექციების მუშაობა, რომლებშიც ერთმანეთს შეეჯიბრება ასეულით მოხაული.

„მეუნ-პალასტის“ ორმა დიდმა საგამოფენო დარბაზმა დღეს კარები გაღო ფესტივალის სტუმრებისა და ვენელების წინაშე, რომლებიც სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენის გახსნაზე მოვიდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის, კერამიკის 1500-ზე მეტი ნაწარმოები 45-ზე მეტი ქვეყნიდან. გარდა ამისა, გამოფენილია გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობანი, ნაქარგი, ჯუქელი, ფეხსაცმელი, სხვადასხვა სოჯახო ნივთი, რომლებიც შესრულებულია ნიჭიერ ახალგაზრდა ოსტატთა ხელით.

გახსნა რა გამოფენა, ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრმა იაროსლავ (ბულგარეთი) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა წინადადებას მონაწილეობა მიეღო სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაში. გახსნილმა გამოფენამ მიიზიდა სახვითი ხელოვნებისა და ხალხური შემოქმედების დიდძალი მოყვარული. პირველ საათში იგი ნახა ათასზე მეტმა კაცმა.



სუდანის დედაქალაქ ხართუმში არის უნივერსიტეტი, ტექნიკური ინსტიტუტი, პედაგოგიური კოლეჯი და ტექნიკური სკოლა.

სურათზე: ხართუმის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კორიდორში.

გულთბილი შეხვედრები, მეგობრული ღიმილი, ხელის მაგრად ჩამორთმევა...

საბჭოების სასახლის პროექტების გამოფენა

არქიტექტურული ფორმების სიახლე

დამთავრდა საბჭოების სასახლის შენობის საუკეთესო პროექტის დახურული კონკურსის მეორე ტური. სასახლე აიგება მოსკოვში ლენინის გორაზე.

როგორც ცნობილია, შეჯიბრების პირველი ტური მიმდინარეობდა შარშან ზაფხულში. სრულიად საკავშირო კონკურსზე წარმოდგენილი 136 პროექტიდან არც ერთი არ ყოფილა მიღებული.

მეორე ტურში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და ლენინგრადის მთელი რიგი წამყვანი საპროექტო ინსტიტუტების არქიტექტორების, ინჟინრებისა და მხატვრების შემოქმედებითმა ჯგუფებმა. მონაწილეთა შორის არიან ცნობილი საბჭოთა ხუროთმოძღვრები ა. ვ. ვლასოვი, ნ. ვ. ბარანოვი, ი. ი. ლეონიძე, პ. ვ. აბროსიმოვი და სხვები. მათ კონკურსზე წარმოადგინეს საბჭოების სასახლის შენობის რვა პროექტი.

არქიტექტორის ცენტრალურ სახლში გაიხსნა ამ ნამუშევართა გამოფენა. პროექტებთან ერთად აქ გამოფენილია აგრეთვე საბჭოების სასახლის შენობის მაკეტები, ფრაგმენტები დეკორაციული პანოებისა ამ დიდებული ნაგებობის დარბაზების მოსართავად.

საბჭოების სასახლის შენობის გამოფენაზე წარმოდგენილ ყველა პროექტს აქვს ერთი დამახასიათებელი ნიშანი — იგი მაღალი არ იქნება, მაგრამ დაიკავებს ვრცელ ტერიტორიას. იქ მკაფიოდ გამოირჩევა არქიტექტურული ფორმების, ინჟინრული კონსტრუქციების სიახლე.

ამ დიდებული ნაგებობის მშენებლობისა და მოპირკეთებისათვის ავტორები ითვალისწინებენ ფართოდ გამოყენებულ იქნას თანამედროვე მეტად მტკიცე და მსუბუქი მასალები — ასაწყობი რკინაბეტონი, ფერადი მაიოლიკა, დეკორაციული მინა, პლასტიკები, აგრეთვე მონუმენტური მოხატულობა და სკულპტურა.

27 ივლისს გამოფენა ასობით მოსკოველმა დაათვალიერა.

(საკდესი).



სოფლის სურათები

კახური! ტკბილად ეღერს გურიის ამ ულამაზესი სოფლის სახელი. უტყვია მისი პატარა მდინარე სკურდუმი, თორემ ბევრს გვიამბობდა ძველი გურიის ნაღვლიან დღეებზე, უიშვილების ცრემლზე, ფირალად გავარდნილ ვაჟკაცებზე, ალიხანოვის ციცხლსა და მახვილზე.

კახური! აბა როგორ დაგვავიწყდება შენი ჩაის ბუჩქები, მწვანე ფოთლებით რომ ზრდიან აყვავებული სოფლის დოვლათს. ზამთარზაფხულ ჩაფლული ხარ სიმწვანეში და გრძნობ, რომ შენთან მუდამ გაზაფხულია, ადამიანთა გმირული შრომით შექმნილი ტკბილი ცხოვრების გაზაფხული.

ლამაზია შენი სახელი, გურიანთის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელო კახური, მაგრამ უფრო ლამაზია შენი აწმყო, შენი დღევანდელი დღე და უკეთეს მომავალზე ფიქრი.

ფოტო ო. არობელიძისა.

საერთაშორისო შეხვედრები

გუდაკეშტი, 27 ივლისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებში ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში, რომელიც მეორე დღეა აქ მიმდინარეობს, საბჭოთა მცურავებმა ახალი წარმატება მოიპოვეს. მათ მოიგეს ეკვთა ესტაფეტა 4×200 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში და ქალთა კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე.

მოკლედ

◉ **პოლონეთში** ქართული კულტურის დღეებთან დაკავშირებით, რაც წელს შემოდგომაზე გაიმართება, მოეწყობა ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელზეც თბილისიდან გიგიზავა ქართველი მხატვრებისა და მოქანდაკეების 350-ზე მეტი ნაწარმოებები. მათ შორის არის ნ. ფიროსმანაშვილის, გ. გაბაშვილის, მ. თორძის, ლ. გედევანელის, ი. ნიკოლაძის, უ. ჯაფარიძის, ა. ქუთათელაძის, ს. ქობულაძის, კ. მერაბიშვილის, ვ. თოფურიძის, თ. აბაკელიას, მ. ბერძენიშვილის, ი. სულავას, დ. ნოდიას და სხვ. ნაწარმოებები.

◉ **ახალი პროდუქცია** აითვისა თბილისის კალინინის სახელობის ხისდამუშავებელმა ქარხანამ. დაიწყო სასადილო ბაგიდის გამოშვება, რომელიც გათვალისწინებულია 24 კაცისათვის. მზადდება ალუმინი ტალავერხორის დასადგელი და კომბინირებული კარადა ტახსაცმლისა და ეფერკლისათვის.

◉ **კომინტერნის ჭიჭაზე** ახალ 28-ბინიან სახლში გადავიდნენ აბრეშუმაქაოები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები.

კეთილშობილური თავგანწირვა

ძლიერ ცხელოდა. დიდი თუ პატარა 14 ივლისს მდინარე ენგურს ეშურებოდა.

დაუდეგარია ენგური. მასში შესვლა სიფრთხილით უნდა. ეს არ გაითვალისწინა 13 წლის ჯემალ ქვარაიამ, გადაეშვა წყალში, მაგრამ ტალღებმა გაიტაცა და მორეული ჩაითრია. მას დახმარება ემუქრებოდა. ჯემალის გადარჩენა სცადა კოლმეურნე დ. პერტაიამ. ისიც ასეთსავე უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

იქვე მყოფმა კოლმეურნე ქალებმა და ბავშვებმა ყვირილი ატეხეს. ამ ყვირილზე მოვარდა სიმინდის მაღალი მოსავლის ოსტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კოტე სანდუხაძე, რომელიც თავის ნაკვეთზე მუშაობდა. იგი სწრაფად გადაეშვა მდინარეში ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად. ჯ. ქვარაია და დ. პერტაია გრძნობადაკარგულნი ნაპირზე გამოიყვანა და პირველი სასწრაფო დახმარებაც აღმოუჩინა.

გადარჩენილებმა ჯ. ქვარაიამ, დ. პერტაიამ და ყველა იქ მყოფმა კოლმეურნემ მხურვალე მადლობა გადაუხადეს დეპუტატ კ. სანდუხაძეს.

შ. ჯიქია.

ზუგდიდის რაიონი, სოფ. ორსანტია.

დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში

გუდაკეშტი, 27 ივლისი. (საკდესი). აქ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. ვერიას სალამოს გაიმართა ნაბერვარფინალური ბრძოლა ხმლებით უნგრეთის, იტალიის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის გუნდებს შორის. პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს უნგრელებმა, მეორეში — პოლონელმა. მოფარიკაკეებმა.

მოიგო რა შეხვედრა იტალიელ სპორტსმენებთან ანგარიშით 9:2, საბჭოთა გუნდი მესამე ადგილზე გამოვიდა. შემდეგ გაიმართა შეხვედრა პირველი ადგილისათვის უნგრეთისა და პოლონეთის გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა პოლონელი სპორტსმენების გამარჯვებით.

ყველა სახეობის იარაღით შეჯიბრების შედეგად საბჭოთა მოფარიკაკეებმა მოიპოვეს 7 ოქროს, 11 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი და გაუსწრეს უნგრეთის გუნდს.

მეორე წელიწადია, რაც საბჭოთა გუნდს ზედიზედ მიეკუთვნა ერთა დიდი პრიზი ფარიკაობაში.

საერთაშორისო ფესტივალი

ბერლინი, 27 ივლისი. (საკდესი). ბერლინში ამ კვირაში ეწყობა ფესტივალი, ეძღვნება ბერლინელ ბავშვთა ბაღების 150 წლისთავი. ფესტივალზე ჩამოვიდა ბავშვთა ბაღების 150 ბავშვისაგან შემდგარი ანსამბლი ინგლისიდან, ბავშვთა ანსამბლი ბულგარეთიდან, ბავშვთა ანსამბლი ჩეხოსლოვაკიიდან, ბავშვთა ანსამბლი ბელგიიდან, ბავშვთა ანსამბლი ბელორუსიიდან, ბავშვთა ანსამბლი ბერლინიდან.

ბრაზილიელ ბავშვებს

ბრაზილია, 27 ივლისი. (საკდესი). ბრაზილიელ ბავშვებს ეკრძალებათ ბანკნოტებზე ფერადი ფანქრებით ხატვა. ეს ბანკნოტებზე ფალსიფიკაციის ერთ-ერთ ხერხად ითვლება.

ბ. ერმოლაევა მსოფლიო ჩემპიონია

ბრიუსელი, 27 ივლისი. (საკდესი). ქალთა შორის ტრეკზე ველოსიპედოლაში მსოფლიო პირველობაზე, რომელიც ლიეჟში მიმდინარეობდა ზაბათსა და კვირას, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ბალინა ერმოლაევამ. მან შესანიშნავი სტილით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება სპრინტერულ რბოლაში. მეორე ადგილი დაიკავა აგრეთვე საბჭოთა ველოსიპედოლმა ვალენტინა მაქსიმოვამ. ინგლისის წარმომადგენელმა დ. დანმა მესამე ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ჩემპიონობა დადგენილი რბოლაში (3 კილომეტრი) მოიპოვა ინგლისელმა ბ. ბარტონმა. მეორე ადგილზეა ლუქსემბურგის წარმომადგენელი ე. ფაკობი. ამ შეჯიბრებაში მარცხი განიცადა შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ლუბა კოჩეტოვამ, ნახევარფინალურ რბოლაში დაბარბილება ველოსიპედის საბური. ამიტომ იგი ფინალში ვერ მოხვდა და დაკმაყოფილდა მესამე ადგილით.

შეხვედრა ფეხბურთში

27 ივლისს მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. საზოგადოება „ლოკომოტივის“ მოსკოველმა ფეხბურთელებმა მიიღეს თურქეთის ერთ-ერთი ყველიერესი პროფესიული გუნდი „გეიზერში“ (ანკარა). ამხანაგური მატჩი, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარეობდა, დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 4 : 1. (საკდესი).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

რადიო

29 ივლისი

პირველი პროგრამით

11.00 — გადაცემა — „სტანინელი ელექტრომანქანათმშენებლები მიეხალმებიან თბილისელ მეგობრებს“, 11.20— კონცერტი, 12.15 — ქართველ კომპოზიტორთა ეროკალური ნაწარმოებები ლ. წიგნიკაძის შესრულებით, 12.45 — ვოკალური ნაწარმოებები ე. ანდრონიკოვის შესრულებით, 17.20 — ნ. ბელაქნელის კონცერტი, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი „უდაბნოს დამპყრობნი“, 18.05 — ვ. დოლიძის სიმფონიური სურათი „ეკერიადა“, 18.45— საბჭოთა სიმღერები, 19.15 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 19.45— გადაცემა მრეწველობის თემაზე—კოროსპონდენცია „მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი საშობლოს“, 20.20 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 21.00 — საუბარი საფეიქრო მრეწველობის შემდგომი ორმაღლობისათვის ჩვენს რესპუბლიკაში (მიკროფონთან საქ. კპ ც. კ-ის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე ვლ. კობახიძე), 21.15 ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — „პოეტი მიკროფონთან“, 22.15 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამით

21.00—ნაწყვეტები როსინის ოპერიდან „სევილიელი დალაქი“, 21.45 — საუბარი „ჩაგონება და პიპნოზი“, 22.00 — ბოლონური მუსიკის კონცერტი.

29 ივლისი

ფილარმონიის საზაფხულო — საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან არსებული თეატრალური კოლექტივის საესტრადო კონცერტი.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ნუ გიდა სიმდიერე, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, საქართველო** (ზოგიერი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — თაკი ბიჭი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო) — უფაკრულის პირას; **თბილისი** — დაკარგული მელოდიები, **ისანი** (საზაფხულო)—განეიერებელი გაზაფხული, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის** (საზამთრო)—ტრამვაი მოიპარეს, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — კინოფესტივალი, მიძღვნილი სამხედრო საზღვაო ფლოტის დღისადმი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ადამიანის ბედი, **საქართველო** (საზაფხულო) — ღამის პატრული, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ანა კარენინა (I-II სერია), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ფარული დაზვერვა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილმბრძანებელი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24. საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УЭ 06151

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.